5753/4-2/21 2 10062021

5753/4-2/21
10-06-2021

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში
მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური
პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს

ბატონ ნიკა ცხვარაშვილს

ბატონო ნიკა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული რამდენი მსჯავრდებული/ბრალდებული (სქესის და ასაკის მითითებით) სარგებლობს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) განათლების მიღების უფლებით?

2. რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იღებს განათლებას თითოეული სტუდენტი და რა ოდენობითაა განსაზღვრული სწავლისთვის მათ მიერ გადასახდელი საფასური?

3. აქვს თუ არა რომელიმე სტუდენტს შეჩერებული სტუდენტის სტატუსი სწავლის საფასურის გადაუხდელობის მიზეზით?

4. სასჯელის რა ვადა აქვს მოსახდელად დარჩენილი თითოეულ სტუდენტს?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე